ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის არ აღძვრის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

სანდრო ჯორბენაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 050/14

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ /სიითი №----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჭ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერლობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 25 ივლისს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჭ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის სექტემბერში ადვოკატ ლ. ჭ.-სთან ზეპირი ფორმით დადო საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და ჰონორარის სახით გადასცა 300 (სამასი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, შეთანხმებისამებრ, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმე და გაეწია მისთვის კვალიფიციური კონსულტაცია. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დაჰპირდა, რომ სადაო უძრავი ქონების ნახევარზე მოაპოვებინებდა საკუთების უფლებას.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დამოუკიდებლად, მასთან შეთანხმების გარეშე პროკურატურაში წარადგინა განცხადება, რომლის ტექსტი იყო ზოგადი და შეცდომებით სავსე. აღნიშნული განცხადების საფუძველზე 2013 წლის 25 ოქტომბერს ის დაიბარეს დაკითხვაზე ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის პირველ განყოფილებაში. საჩივრის ავტორის განცხადებით, ეს ინფორმაცია მან მიაწოდა ადვოკატს, რადგან სურდა პოლიციაში ჩვენების მიცემა მისი თანხლებით, თუმცა ადვოკატი არ დაესწრო მასა და გამომძიებელს შორის გასაუბრებას.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, დაკითხვაზე არ მისვლის შემდეგ მასა და ადვოკატს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მან ლ. ჭ.-ს მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, თუმცა მან დაუბრუნა მხოლოდ 90 (ოთხმოცდაათი) ლარი, ისიც ეტაპობრივად.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთან ვერ ახერხებდა კომუნიკაციას, იგი ორი თვის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, არსებობს მესიჯები, რომელიც გამოგზავნილია საჩივრის ავტორის ტელეფონზე, სადაც ადვოკატი წერს, რომ დაუბრუნებს თანხას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ჭ.-მ 2014 წლის 04 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმადაც მასა და საჩივრის ავტორს შორის იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დადებული იყო ზეპირად.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორს გაუწია სწორი იურიდიული კონსულტაცია, დაწერა განცხადება, რომელიც თავად წარადგინა პროკურატურაში.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ის და საჩივრის ავტორი შეთანხმდნენ, რომ პროკურატურაში მივიდოდნენ ერთად, თუმცა საჩივრის ავტორმა არ შეატყობინა მას გამომძიებელთან ვიზიტის თარიღი და მის გარეშე მივიდა. ადვოკატის განცხადებით, მან გამომძიებელთან ვიზიტის შესახებ შეიტყო პოსტფაქტუმ და შესაბამისად, ვერ შეძლო დასწრება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მას ვერ უკავშირდებოდა უსაფუძვლოა, ვინაიდან მ. ა.-ს ჰქონდა როგორც მისი, ასევე მისი მეუღლის საკონტაქტო ინფორმაცია და ნებისმიერ დროს შეეძლო დაკავშირებოდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა გადაწყვიტა ახალი ადვოკატის აყვანა, მას კი მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შესაბამისად, ადვოკატმა მასთან გაწყვიტა კავშირი და დაუბრუნა მიღებული ჰონორარის ნაწილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მ. ა.-ს ჰქონდა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ის აპირებს საჩივრის ავტორის წინააღმდეგ სარჩელით მიმართოს სასამართლოს პატივისა და ღირსების შელახვისთვის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ჭ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №----/ საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 მ. ა.მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 25 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2014 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა-5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა პროკურატურაში წარადგინა დოკუმენტი, რომლის შინაარსიც არ იყო მასთან შეთანხმებული, ამასთან განცხადებაში დაფიქსირებულია ტექნიკური და ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები. ადვოკატი არ გამოცხადდა მის დაკითხვაზე გლდანი-ნაძალადევის პოლიციის I განყოფილებაში, ის ადვოკატთან კომუნიკაციას ახერხებდა რთულად და ამასთან, ადვოკატს მისთვის უნდა დაებრუნებინა სადავო ბინის ნახევარი, რაც არ განახორციელა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.“

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

5.3 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორი მ. ა. მიუთითებს, რომ მისი პრეტენზია ეხება ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ შედგენილ საჩივარში დაფიქსირებულ ტექნიკური და ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომებს. კერძოდ ის უთითებს, რომ პროკურატურაში წარდგენილი ტექსტი არ იყო შეთანხმებული მასთან და ადვოკატმა ისე შეადგინა საჩივარი, რომ მასში უამრავი ორთოგრაფიული და ტექნიკური ხასიათის შეცდომაა. ამასთან ადვოკატ ლევან ჭიღილაძეს მისთვის უნდა დაებრუნებინა მის მიერ დაკავებული თავისი მულის იზოლდა სამანაშვილის ბინის ნახევარი, რასაც ისიც ემატებოდა, რომ როდესაც დაიბარეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის I განყოფილებაში, ადვოკატი არ გამოცხადდა დაკითხვაზე და უჭირდა ადვოკატთან კონტაქტი.

5.4 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი მასალების შესაბამისად არ არსებობს საჩივარში გადმოცემული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საჩივრის ავტორის რომელიმე პრეტენზიას. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი, არ წარმოადგენს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს. ამასთანავე კომისია განმარტავს, რომ ჰონორარის დაბრუნების თაობაზე საჩივრის ავტორს შეუძლია სარჩელი აღძრას ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლოში საერთო წესების დაცვით და ეს საკითხი არ წარმოადგენს ეთიკური სტანდარტების დარღვევას. რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ იგი ადვოკატთან ვერ ახერხებდა კომუნიკაციას ან ადვოკატის მიერ სხვა პირის საკუთრებაში მყოფი ბინის ნახევარზე საკუთრების უფლების მოპოვებაზე დაპირებას, ამ გარემოებათა დასადასტურებლად საქმეში არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, კომისია მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტებას ვერ მიიჩნევს საკმარის მტკიცებულებად ასეთი გარემოებების დადგენილად ცნობისათვის.

5.5 კომისიას არ მიაჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ ადვოკატმა საკუთარი ფანტაზიით შეადგინა საჩივარი, ვინაიდან გარემოებების უცოდინარობის შემთხვევაში ადვოკატი ვერ შეძლებდა განცხადების შედგენას. მ. ა.-ს არ მიუთითებია თუ რა გარემოება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და რომელი გარემოება არ შეუთანხმებია ადვოკატს მასთან. რაც შეეხება პროკურატურაში შეტანილი განცხადების ტექნიკური და ორთოგრაფიული შეცდომების გამო პრეტენზიებს, კომისია მართალია ეთანხმება საჩივრის ავტორს, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ შედგენილ განცხადებაში მართლაც არის ტექნიკური ხასიათის შეცდომები, თუმცა კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმ თვალსაზრისით, რომ ხსენებული შეცდომები განეკუთვნება ტექნიკური ხასიათის შეცდომებს, რომლისგანაც თითოეული ადამიანი დაზღვეული არ არის და ამ საფუძვლით ლ. ჭ.-ის მიმართ ეთიკის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით, განსაზღვრულია სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში აშკარა უსწორობებისა და ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორება და ეს ნორმა განპირობებულია სწორედ იმიტომ, რომ მოსამართლეებიც ადამიანები არიან და შესაძლებელია მოხდეს გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის შეცდომის ან/და აშკარა უსწორობის დაშვება.

5.6 საპროცესო კოლეგიამ ხსენებული სსკ-ის 260-ე მუხლის მოშველიება გამოიყენა იმისთვის, რომ მოსამართლეს, რომელსაც საქართველოს სახელით გადაწყვეტილების გამოტანისას კანონმდებელმა დაუწესა აშკარა უსწორობისა და ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორება, ბუნებრივია ასეთივე მიდგომა უნდა გავრცელდეს ადვოკატის საქმიანობაზეც და მის მიერ შედგენილი ტექსტი თუ შეიცავს აშკარა ხასიათის უსწორობას ან/და ტექნიკური ხასიათის შეცდომას, ეს არ უნდა იქნეს აღქმული ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად და ეთიკური ნორმების დარღვევად.

5.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ სასურველია ადვოკატმა თითოეული დოკუმენტის შედგენისას არ დაუშვას ტექნიკური, სტილისტური, ორთოგრაფიული და მორფოლოგიური შეცდომები, თუმცა ასეთი შეცდომები ვერ განიხილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლად.

5.8 საჩივრის ავტორმა ასევე მიუთითა ადვოკატთან კომუნიკაციის პრობლემის თაობაზე, თუმცა კომისიას ვერ წარმოუდგინა დაპირებული მტკიცებულებები, რის საპირისპიროდაც ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიერ წარმოდგენილი იქნა ლ. კ.-ის წერილობითი განცხადება, რითაც დასტურდება საჩივრის ავტორისა და ლ. ჭ.-ის ურთიერთობის ამსახველი გარემოებანი, რაც გამორიცხავს საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ურთიერთობის არარსებობას. ამასთანავე, თავად საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატთან ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია, რაც თავისთავად გამორიცხავს ურთიერთობის არარსებობას.

5.9 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას საკმარისად არ მიაჩნია დასციპლინური დევნის აღძვრისათვის მხოლოდ საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, თითქოსდა ადვოკატი დაჰპირდა მესამე პირის, კერძოდ მისი მულის საკუთრებაში არსებული ბინის ნახევრის გადაფორმებას. ამ კუთხით სხვა სახის მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ამ გარემოების დასადასტურებლად ეთიკის კომისიას არ გააჩნია რაიმე სახის მტკიცებულება, ხოლო იმ ვითარებაში, როდესაც ადვოკატი ლ. ჭ. კატეგორიულად უარყოფს ასეთი დაპირების არსებობას, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას დადგენილად ცნოს მითითებული ფაქტი მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების საფუძველზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით; მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით; 33-ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №050/14 ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ /სიითი №----/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი /სანდრო ჯორბენაძე/

კოლეგიის წევრი /ია გაბედავა/